2:2

კიევის “დინამოს” ფეხბურთელთა გუნდმა 1947 წლის პირველობის გათამაშებაში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. იგი თავისი ძირითადი შემადგენლობით 28 აგვისტოს თბილისის “დინამოს” ფეხბურთელებს შეხვდა.

პირველ ტაიმში ანგარიში არ გახსნილა.

მეორე ტაიმში გუნდებმა თამაში სწრაფი ტემპით დაიწყეს. მე-10 წუთზე ღოღობერიძემ მოხდენილად გაარღვია დაცვის ხაზი და ბურთი საჯარიმო მოედანზე ჩააწოდა. ამ შემთხვევით ისარგებლა პანიუკოვმა და ანგარიში გახსნა. ერთი წუთის შემდეგ ისევ პანიუკოვმა მეორე ბურთი გაიტანა.

თავბრუდამხვევმა იერიშებმა ოდნავადაც არ იმოქმედეს სტუმრებზე. მათ გადააჯგუფეს ძალები, გადამწყვეტ იერიშზე გადავიდნენ და მალე საპასუხო ბურთი გაიტანეს თბილისელთა კარში. 25-ე წუთზე თბილისელები დაჯარიმდნენ თავისუფალი დარტყმით, ეს შემთხვევაც კიეველებმა თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენეს და ანგარიში გაათანაბრეს _ 2:2. ამის შემდეგ ანგარიში არ შეცვლილა.

ირ. ფაილოძე.
“ახალგაზრდა კომუნისტი”, 30 აგვისტო, 1947 წ.